საიტის წესები

1. უძრავი ქონების კომპანია ”GEO-HOME” უძრავი ქონების მესაკუთრეებს გიწევთ დახმარებას უძრავი ქონების გასხვისებაში და გაქირავებაში/იჯარით გაცემაში, ხოლო შეძენის ან/და დაქირავების/იჯარით აღების მსურველებს შესაბამისად შეძენასა და დაქირავებაში/იჯარით აღებაში.

2. განცხადება უძრავი ქონების გასხვისების, გაქირავების/იჯარით გაცემის შესახებ განთავსდევა კომპანიის საიტზე geo-home.com.

3. განცხადება:

3.1. განცხადება ქვეყნდება უვადოდ მასში აღწერილი უძრავი ქონების გასხვისებამდე/გაქირავებამდე/იაჯრით გაცემამდე ან გარკვეული მიზეზების გამო ამ უძრავი ქონების გასხვისების/გაქირავების/იჯარით გაცემის შეჩერებამდე. ორივე შემთხვევაში კომპანია დაუყოვნებლივ უნდა ფლობდეს სრულ ინფორმაციას;

3.2 განცხადებაში აღწერილ უძრავი ქონების გასხვისებას/გაქირავებას/იჯარით გაცემას ემსახურება კომპანია;

3.3 იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის საშუალებით, კომპანიის თანამშრომლის მიერ განხორციელდება უძრავი ქონების მესამე პირის მიერ შეძენა/ქირავნობა/იჯარით აღება, კომპანია იღებს საკომისიოს შემდეგი პირობებით: შეძენის შემთხვევაში - გარიგების ღირებულების 3-5%, ხოლო ქირავნობის/იჯარის შემთხვევაში - წლიური ქირავნობის/იჯარის სახელშეკრულებო ღირებულების 8-10%. საკომისიოს გადამხდელია გამყიდველი ან/და გამქირავებელი/მეიჯარე;

3.4 იმ შემთხვევაში, თუ თქვენს მიერ კომპანიისათვის საკომისიო თანხის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით თქვენ დამალავთ თქვენი კუთვნილი კომპანიის საიტზე განთავსებული უძრავი ქონების გასხვისებას/გაქირავებას/იჯარით გაცემას კომპანიის მიერ შეთავაზებულ მესამე პირზე, თუმცა რეალურად აღმოჩნდება, რომ უძრავი ქონების ფაქტიური ფლობა ხორციელდება სწორედ კომპანიის მიერ შეთავაზებული მესამე პირის მიერ, თქვენ ვალდებული ხართ გადაუხადოთ კომპანიას მისი კუთვნილი საკომისიო, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანიას აქვს უფლება მიმართოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ზომას თავისი ანაზღაურების მისაღებად.

4. უძრავი ქონების სარეალიზაციო ღირებულების შეცვლის შემთხვევაში, კომპანიას დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ამ ცვლილების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია პასუხს არ აგებს შესაძლო ზიანზე.

5. ამ წესებზე თანხმობის განცხადებით თქვენ იღებთ პასუხისმგებლობას თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეზე და კომპანიისთვის საკომისიოს გადახდაზე.